# ჩინეთმა საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტს ადაპტირებული მიკროავტობუსი გადასცა




**საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტს საჩუქრად ადაპტირებული მიკროავტობუსი (JAC) გადასცა.**

ღონისძიება დღეს "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრის პირველი პავილიონის მიმდებარედ გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ძი იენჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ღვთისიაშვილი, პარლამენტის წევრები, პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი შალვა მასიურაძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი დოლაბერიძე და პარასპორტსმენები დაესწრნენ.

1tv.ge


JAC MOTORS
JAC